

**LANGUAGE AS A HISTORICAL AND SOCIAL PHENOMENON IN
CONSTRUCTIVE FORMATION**

ენა როგორც ისტორიული და სოციალური ფენომენი კონსტრუქციულ
ფორმირებაში

Nana Stambolishvili

Doctor of Philology,

Professor of Batumi Shota Rustaveli State University,
Batumi, 32/35 Rustaveli/Ninoshvili st, Batumi, 6010, Georgia,

+995593324653, nana.stambolishvili@bsu.edu.ge

<https://orcid.org/0000-0001-6924-8184>

Abstract. Research of the Language is always actual. It is the truest witness of the history of the civilization and always undergoes changes. Changeability of the language system in time is clearly seen when comparing manuscripts of different periods of the concrete language.

For this or other speaker, the corresponding old manuscripts may be as unclear as the example from any other language.

There are a lot of words that have been recently coined and they also might not be understandable for middle high German speaker.

In Old High and Middle High German Texts there are known words but nowadays they are used in different meanings than during the early period of the development of the German Language.

The words are known in Old High and Middle High German texts, but today they are used in a different sense than in the early period of the development of the German language.

Language is social phenomenon. Changes in the Language are defined by historical and social factors. The changes of the concrete language depended in the bearer of the language, there changes will never be homogenous and similar, if he uses in everyday conversation the nuances and forms of the language even Anglicism when the speech of the speaker, articulation attracts attention of the listener.

Our goal is to establish the unity of the social and the change of the historical conditions, we must preserve the national identity, and try to introduce innovation on that basis. We can absorb some things from the western culture, create some new things and offer them to Europe or the world.

Keywords: Social, Language, Society, History, Culture.

ნანა სტამბოლიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

ბათუმი, რუსთაველის/ნიონოშვილის ქუჩა N32/35, 6010, საქართველო,

+995593324653, nana.stambolishvili@bsu.edu.ge

<https://orcid.org/0000-0001-6924-8184>

აბსტრაქტი. ენის კვლევა ყოველთვის აქტუალურია. ის ცივილიზაციის ისტორიის ყველაზე ჭეშმარიტი მოწმეა და ყოველთვის განიცდის ცვლილებებს. ენობრივი სისტემის დროში ცვალებადობა აშკარად ჩანს კონკრეტული ენის სხვადასხვა პერიოდის ხელნაწერების შედარებისას.

ამ ან სხვა მოსაუბრისთვის შესაბამისი ძველი ხელნაწერები შეიძლება ისეთივე გაუგებარი იყოს, როგორც სხვა ენების მაგალითი.

ბევრი სიტყვაა, რომელიც ახლახან გამოიგონეს და ისინი ასევე შეიძლება გაუგებარი იყოს საშუალო გერმანულის მოლაპარაკესთვის.

ძველ ზემო და საშუალო ზემო გერმანულ ტექსტებში ცნობილია სიტყვები, მაგრამ დღეს ისინი გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობით, ვიდრე გერმანული ენის განვითარების ადრეულ პერიოდში.

ენა სოციალური ფენომენია. ენის ცვლილებები განისაზღვრება ისტორიული და სოციალური ფაქტორებით. კონკრეტული ენის ცვლილებები ენის მატარებელზე იყო დამოკიდებული, ცვლილებები არასოდეს იქნება ერთგვაროვანი და მსგავსი, თუ იგი ყოველდღიურ საუბარში გამოიყენებს ენის ნიუანსებსა და ფორმებს, თუნდაც ანგლიციზმს, როცა მოლაპარაკის მეტყველება, არტიკულაცია იპყრობს მოსაუბრის ყურადღებას.

ჩვენი მიზანია, რომ დავამკვიდროთ სოციალურის ერთიანობა და ისტორიული პირობების ცვლილება, შევინარჩულოთ ეროვნული იდენტობა, სწორედ ამ საფუძველზე ვეცადოთ სიახლის დანერგვა. შეიძლება ზოგიერთი რამ დასავლური კულტურისაგანაც შევითვისოთ, ზოგიერთი რამ ახალი შევქმნათ და ევროპას ან მსოფლიოს შევთავაზოთ.

საკვანძო სიტყვები: სოციალური, ენა, საზოგადოება, ისტორია, კულტურა.

შესავალი. ენა უმნიშვნელოვანესი ფენომენია. ადამიანის ენა ჩვენ უნდა განვიხილოთ როგორც **სოციალური ფენომენი**. ენა და საზოგადოება ერთმანეთს განსაზღვრავენ: ისევე როგორც ენის გარეშე არ არსებობს სოციალური ერთიანობა-სოციუმი, ისევე არ არსებობს ენაც სოციუმის გარეშე. ენა ყოველთვის არის განპირობებული გარკვეული საზოგადოების სოციალური და **ისტორიული** პირობებით და ამ პირობების ცვლილებს ექვემდებარება: ამიტომაც არის ენა ცვლადი ანუ პროდუქციული ფენომენი. **კულტურა** კაცობრიობის არსებობის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს. კულტურა არის ამა თუ იმ საზოგადოების მენტალური ანუ სულიერი ღირებულებების ერთობლიობა, რაშიც პირველ რიგში სახელოვნო და შემოქმედებითი მოღვაწეობა მოიაზრება.

კაცობრიობის მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვებულმა ცოდნამ ჩვენამდე ძირითადად ენობრივი ფორმით მოაღწია. თუ როგორ იქნებოდა პირველი სიტყვები, ამით ინტერესდებოდნენ ყველა დროის სწავლელები და მკვლევარები. ცნობილია, რომ

დემოკრიტეს მეცნიერული ინტერესი ვრცელდებოდა ენის წარმოშობის პრობლემებზეც. ის და არისტოტელე თვლიდნენ, რომ ენა შეთანხმების შედეგად წარმოიშვა, განსხვავებით პითაგორესა და ეპიკურესაგან, რომელთა აზრით ენა საგანთა ბუნებისაგანაა წარმოშობილი (კუკავა, 1988: 168). ჰუმბოლდტის თანახმად, ენა არის ადამიანის სულში ბუნებრივად წარმართული პროცესი, რომლის დრო ბგერებისა და წარმოდგენების შეერთების გზით მიიღებიან სიტყვები, რომელთა ლექსიკურ მნიშვნელობას წარმოადგენს ცნება. ჰუმბოლდტი ენის ადამიანის *გონის* (გერმ. *Geist*) უმთავრეს მოღვაწეობად მიიჩნევს. მისი აზრით, ენის ადეკვატური შესწავლისათვის აუცილებელია ადამიანის ცნობიერებასთან და აზროვნებასთან, კულტურასთან და სულიერ ცხოვრებასთან მისი მჭიდრო კავშირის გათვალისწინება. ჰუმბოლდტისათვის ენა ხალხის ერთიანი ენერგიაა, იგი ეროვნული ფორმის მქონე კოლექტიური მოვლენაა. ამდენად, *ენობრივი კოლექტივი* ჰუმბოლდტის მოძღვრებაში ერთდროულად სოციოლოგიურ და ლინგვისტურ ცნებად გვევლინება (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური & შენგელია, 2003: 465).

მეთოდები. ნაშრომზე მუშაობისას ძირითადად გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: შედარებითი, თვისობრივი, აღწერითი, შედარება - შეპირისპირებითი; კვლევა იწარმოებს გერმანული და ქართული ენების შეპირისპირების საფუძველზე, რადგან ამ მეთოდის საშუალებით ნათლად წარმოაჩენს ქართული-გერმანული ერთეულების მსგავსებასა და განსხვავებებს.

ჩვენ სტატიაში მივმართეთ: თ. გამყრელიძეს, თ. კუკავას, ი. ჰუმბოლდტის, რ. კელერს, ვ. ლაზოვს, ი. მაიზაუერს, თ. შიპანს, პ. შლობინსკის და სხვ. ასევე გავითვალისწინეთ “გერმანულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი” (ავტორი, ნ. სტამბოლიშვილი).

ჩვენ მიერ მომდევნო სტატიაში გამოყენებული მეთოდებია: ინდუქციური და დედუქციური მეთოდები. ჩვენ ასევე გამოვიყენეთ შედარებითი მეთოდი, რათა ვიპოვოთ მსგავსება და განსხვავებები საწყის ენასა და სამიზნე ენას შორის.

შედეგები და მსჯელობა.

კულტურა ტრადიცია და ისტორიული მიმოხილვა

ენა, როგორც სოციუმის არსებობის განმსაზღვრელი კომპონენტი, კულტურის ფენომენს წარმოადგენს. მატერიალური კულტურის ცნებით ხშირად უპირისპირდებიან სულიერი კულტურის ცნებას, მაგრამ ამგვარ დაპირისპირებას შედარებითი ხასიათი აქვს, რამდენადაც კულტურის ნებისმიერი ფენომენი სემიოტიკური ქმნილებაა. **მატერიალური კულტურის საგნები** ადამიანთა ცხოვრებაში **ორმაგ როლს ასრულებს**: ერთი მხრივ, ისინი **პრაქტიკული მიზნების მიღწევის**, მეორე მხრივ კი **სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადაცემისა** და შენახვის საშუალებებია. მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ მხოლოდ მეორე ფუნქციის მეშვეობით იქცევიან ისინი **კულტურის ფენომენებად**.

კულტურის, როგორც ცნების განსაზღვრება მრავალფეროვანი და მრავალსახოვანია. ამ ცნების შინაარსი იცვლებოდა, ერთი მხრივ, კაცობრიობის არსებობის ქრონოლოგიურ ღერძზე ეპოქის და შესაბამისად – კაცობრიობის განვითარების ანუ მისი ისტორიული და კულტურული გამოცდილების და შესაბამისად და, მეორე მხრივ, იმის მიხედვით, თუ როგორ განისაზღვრებოდა **კულტურა** გადასახედიდან, განსაკუთრებით საკითხის ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური ასპექტის გათვალისწინებით.

თუ ჩვენ ცხოვრებას დავაკვირდებით, ყოველ ფეხის ნაბიჯზე დავინახავთ რომ ცივილიზაციის ნორმები ენის საშუალებით შეითვისება ადამიანის მიერ. ასევე ისიც, რაც საკუთრივ კულტურას შეადგენს ე.ი. ქვეყნის ფორმები და გარკვეული პოზიცია,

დამოკიდებულება სინამდვილის მიმართ ენის შუამავლობის გარეშე წარმოდგენილი იქნებოდა, მაგალითად ის რაც ზრდილობად, გულწრფელობად ან სიცრუედ არის მიჩნეული და ტრადიციით გადმოიცემა ამა თუ იმ ხალხში მხოლოდ და მხოლოდ ენის მეშვეობით გადმოიცემა და ხორციელდება. სიტყვა „სიბეჯითე“ სამხრეთ ესპანელისთვის სხვას ნიშნავს, ვიდრე გერმანელისთვის, ხოლო ის რაც გერმანელს სიტყვის „გულწრფელობა“ ესმის, ინდონეზიელისთვის უზრდელობა და სისულეა. ამრიგად, კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი იმ ფაქტს, რომ ყველა ეს პოზიცია და კულტურული ფასეულობები მხოლოდ ენით გადმოიცემა. ენის მეცნიერული შესწავლა ყოველთვის უნდა ხდებოდეს შესაბამი მაგალითი: გერმანულ ენაში შვილების პოზიციიდან მშობლების და-მამს **Onkel** და **Tante** ეწოდებათ. ეს აღნიშვნები ეხება როგორც **მამის** ისე **დედის** და-მამს. მაგრამ საშუალო ზემოგერმანულზე ისევე როგორც დღევანდელ ზოგიერთ დიალექტში დიფერენცირებულად აღნიშნება დედის და მამის და-მამა: მამის და როგორც **Base**, ხოლო დედის და როგორც – **Muhme**. ამჟამად არის: დის ქმარი – სიძე **-der Schwieger**, ხოლო ქალიშვილის ქმარი- **der Schwiegersohn**; რძალი **Schwiegertochter** და ა.შ. ქართულადაც ასეა: **მამიდა** -მამის და, **დეიდა**- დედის და; ქართულში ჩვენ ვიცით, რომ ასეთი ნათესაობრივი დიფერენციაცია უფრო შორსაც მიდის: ბიცოლა, მაზლი, მაზლის ცოლი, ძმის შვილი, დის შვილი, საფუძველი ამ განსხვავებებისა შესაძლოა კულტურების სხვადასხვა.

იორგ მაიბაუერი გერმანული ისტორიაში კონტაქტურ სიტუაციებზე მიუთითებს, რომლის საშუალებითაც მოხდა კელტური, ლათინური, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ინგლისური და სლავური ენების ზეგავლენა (Meibauer, 2007: 329).

მოგახსებეთ, რომის იმპერიის დაშლის შემდეგ ლათინურიდან ამ ენების საფუძველზე წარმოიშვა თანამედროვე **რომანულ ენეთა ჯგუფი**. სწორედ ამ ენების ჯგუფია: ფრანგული, იტალიური, ესპანური, პორტუგალიური და სხვ. კელტები თანამედროვე ჯგუფია: ირლანდიური, შოტლანდიური და მენური ენები. თანამედროვე დასავლურ გერმანიკულ ჯგუფში შედის: გერმანული, ინგლისური ფრიზული, ნიდერლანდური (ჰოლანდიური+ ფლანდრიული), აფრიკანსი (ბურების ენა) იდიში.

მე-7 ს. გერმანულ ენაში დამკვიდრდა ბევრი რელიგიური ტერმინი. ძველ ზემო გერმანულში საჭირო იყო ამ სიტყვების კარგი ინტერპრეტაცია, რადგან მოგვიანებით გასაგები ყოფილიყო ისტორიული ენობრივი პროცესები. ეს ყველაფერი მოწმობს იმას, რომ მაშინდელ პერიოდში იყო ცდა იმისა, შექმნილიყო ხალხური ენა და აგრეთვე გერმანული დამწერლობა. ლათინური სიტყვების გადმოგერმანულობა საფუძველი იყო იმისა, რომ მე-8 ს. შეიქმნა გერმანულენოვანი ლიტერატურა. ეს არის ლათინური ტექსტების გლოსარები. ლათინური სიტყვის გადმოგერმანულების ნათელი მაგალითია ზოგიერთი გერმანული სიტყვის ეტიმოლოგიური ანალიზი. მაგალითად, გერმანული სიტყვა **der Ahorn** ენათესავება ლათინურ **Acer**-ს. იგი წარმოიქმნა მეტაფორული გადატანის გზით (ფოთლების ფორმის შესაბამისად) ლათინურში ნიშნავს „მახვილი“ „ბასრი“ და დღეს თანამედროვე გერმანულში ფორმაშეცვლილი სახით გვევლინება. ჩვენში ინტერესს იწვევს მისი ქართული შესატყვისი „**ნაკერჩხალი**“, რომელიც ბადებს ეჭვს მისი ლათინურიდან შესაძლო წარმოშობის შესახებ. (ლათ. ნაკერჩხალის გვარი **Acer**- მოიცავს მთის რძის სამ ყველაზე გავრცელებულ სახეობას). ყველაზე ისმის კითხვა რა შესაძლო კონტაქტები შეიძლება ყოფილიყო ამ ტერიტორიულად არამეზობელ ქვეყნებს შორის, რომელსაც შეეძლო გამოეწვია ქართულში ლათინური ძირის დამკვიდრება და მისი ქართული იერსახის მიცემა. ვარაუდებენ, რომ ისტორიულად ენაში ყველაზე მეტი ცვლილებები ფიქსირდება ჯვაროსნული ომების დროს ხალხთა ტომების შერევისას. ენა არაა უცვლელი სისტემა, ამიტომ ადვილი შესაძლებელია როგორც ახლა, ისე ადრეც სხვადასხვა ხალხისა და კულტურების კონტაქტებს ზეგავლენა მოეხდინა ერთმანეთის ენებზე, რასაც შეეძლო გამოეწვია

სიტყვების ანალოგიური ფორმებით წარმოების შესაძლებლობა, რაც ენაში ახალი სინტაქსური კონსტრუქციებით, სხვადასხვა კატეგორიების სიტყვის, ძირის, ფონემის, მორფემის შეცვლით გამოიხატება. ენის ისტორიულ ცვალებადობას ხელს უწყობს სხვა ფაქტორებიც (მიგრაციები), რომლებიც განაპირობებენ ენების გავრცელებას მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში.

ენაში ხალხთა კონტაქტების შედეგად განვითარებული სიტყვებისა და შესაბამისად მნიშვნელობების ბევრ მოვიყვანთ, თუ სიტყვის ეტიმოლოგიური კვლევის კვალს მივყვებით. მაგალითად ძვ. ზ. გერმანული და საშ.ზ.გერმანული touch (გერმანული das Tuch) დუდენის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც ოთხკუთხა ნაჭერი, რომელსაც გარკვეული მიზნისათვის იყენებენ (gesäumtes Stück Stoff, u.ä. für bestimmte Zwecke). აღნიშნულ სიტყვას ვუკავშირდებით ებრაული წარმოშობის სიტყვა- **betüch(t)**-ს, იდიშის ენაზე betüch(t)-, ებრაულ ენაზე **betüah**- wohlhabend, vermögend, რაც შეძლებულს, ქონების მქონეს, მდიდარს ნიშნავს. მოტივაცია თითქოს დაკარგულია, მაგრამ ამოსავალი მნიშვნელობის მიღება შესაძლებელია, თუ დავაკვირდებით, რომ ნაჭერი, ქსოვილი და მისგან განვითარებული კომპოზიტები: Taschentuch, Kopftuch(ცხვირსახოცი, თავსაფარი) და ა.შ. თანამედროვე გერმანულში გამაგებია გერმანელებიდან: Sie spricht Hochdeutsch, denn sie war **von betüchter** Familie (ის სტანდარტულ გერმანულად ლაპარაკობს, რადგან იგი მდიდარი ოჯახიდან იყო).

გარკვეულად ისტორიულად შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო ქონებრივ შესაძლებლობასთან. აქედან ქცევა, რომელსაც თანამედროვე გერმანულში იყენებენ “**gut betucht sein**“ (მდიდარი, შეძლებელი). ჩვენ ებრაული წარმოშობის სიტყვისა და ძველ და საშუალ ზემოგერმანულში არსებული სიტყვების კავშირმა ასოციაციურად მიგვანიშნა ქართულში არსებულ ქცევასთან „**ფარჩა-ატლასით მორთული**“ (დიბა-ატლასით მორთული), რაც ფუნქციური თვალსაზრისით გერმანული ქცევის იდენტიურია, რადგანაც საგულისხმოა, რომ ნაჭერი, შესამოსი და საერთოდ ქსოვილი ისტორიულად ალბათ საქართველოშიც გარკვეულწილად ქონებრივ შეძლებელობაზე და სიმდიდრეზე მიუთითებდა.

ენობრივი სისტემის ცვალებადობა დროში ნათლად ჩანს კონკრეტული ენის სხვადასხვა პერიოდის წერილობითი ძეგლების შედარებისას. ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკისათვის შესაბამისი უძველესი წერილობითი ძეგლი შეიძლება ისევე გაუგებარი იყოს, როგორც რომელიმე სხვა ენის ნიმუში. საშუალ ზემოგერმანულის პერიოდის ტექსტის თარგმნისას სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის ახსნით შეგვიძლია მთლიანობაში მისი შინაარსი თავისუფლად გავიგოთ, ხოლო ძველ ზემოგერმანულის ტექსტების გაგება კი თითქმის გაუგებარია. მე-14-ის ტექსტის გაგების პრობლემებზე ლაპარაკობს იორგ მაიბაუერი (Meibauer, 2007: 5), როცა მას მაგალითისთვის ტილ ოილენშპიგელის ტექსტის ნაწყვეტი მოჰყავს. რაც უფრო ძველია ტექსტი, მით უფრო მცირდება მისი ნორმალური გაგების შესაძლებლობა. გარდა უამრავი ორთოგრაფიული განსხვავებისა პირველი ტექსტის შემთხვევაში მაიბაუერი ხაზს უსვამს ზოგიერთი სიტყვასა და სიტყვათა ფორმას, როგორცაა *geteufft gon, Kindertöffe ან Göttel*, რომელიც თანამედროვე გერმანულში აღარ გამოიყენება. საგულისხმოა აგრეთვე, რომ სიტყვა *Tauf-* ტექსტში მამრობითი სქესისაა (*im Tauff*), ხოლო თანამედროვე გერმანულში კი მდედრობითია (*die Taufe*).

ძველი ტექსტების გაგება სხვა მხრივ იმიტომ ძნელდება, რომ იქ გამოყენებული სიტყვები თუ სიტყვათა ფორმები დღევანდელი გერმანულისთვის უცნობია. ამის საპირისპიროდ კი არსებობს ბევრი სიტყვა, რომლებიც ბოლო დროის შეიქმნა და ისინი ასეთივე გაუგებარი იქნებოდა საშუალ ზემო გერმანულზე მოლაპარაკისათვის. მაიბაუერს მოჰყავს ორი სიტყვა: *Elchtest* და *Hendy*, რომლებიც (ყოველ შემთხვევაში ამ მნიშვნელობით) ძველ ლექსიკონებში არ აღინიშნება.

ხშირად ძველ ტექსტებში შეგვხდება ჩვენთვის ნაცნობი სიტყვები, მაგრამ აღმოჩნდება, რომ ისინი დღეს სხვა მნიშვნელობის მატარებელია, ვიდრე ეს ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე იყო. ამის თვალსაჩინო მაგალითია სიტყვა „Arbeit“, რომელსაც ძველ ზემოგერმანულში და საშუალ ზემოგერმანულში სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე თანამედროვე გერმანულში აქვს. მაიბაუერს მოჰყავს მაგალითები შუტცცაიხელის ძველი ზემოგერმანული ლექსიკონიდან და იმოწმებს ფრიტცსაც (შუტცაიხელი 1989; ფრიტცი 1998). აღნიშნულ ლექსიკონებში „Arbeit“-ის მნიშვნელობაა: „Drangsal“, „Unglück“, „Mühe“, „Mühsal“, „Last“, „Anstrengung“. „Arbeit“-ის მნიშვნელობაზე მიუთითებს აგრეთვე თეა შიპანი (Schippan, 1992: 259). „Arbeit“, საშუალ ზემოგერმანული **arebeit**, მნიშვნელობით „verweist“ მჭიდრო ნათესაურ კავშირშია სლავიანურ **rabota**-სთან და ნიშნავს „მძიმე ფიზიკური შრომა, ტანჯვა, გაჭირვება“ როგორც ის გამოყენებულია ნიბელუნგებში: **von helden lobebæren, von grözer arabeit**. ამ სიტყვამ დაკარგა მისი ნეგატიური მნიშვნელობა **ლუთერთან**, რომელიც ფიზიკურ შრომას ადამიანის ღირსებად თვლიდა და რომელსაც მუშაობა ადამიანის ზნეობრივ მოწოდებად მიაჩნდა. ასევე ძველ მნიშვნელობასა და ახალ მნიშვნელობას შორის გამიჯვნის თვალსაჩინო მაგალითია ზმნიზედა **sehr**, ძველ ზემო გერმანულში- **sêro**, საშუალ ზემოგერმანულში **sêre**-, მნიშვნელებით „schmerzlich“ (მტკივნეული), მე-13 ს- დან იგი უკვე ინტერესობის მაჩვენებელია, და დამკვიდრდა სწორედ ამ მნიშვნელობით **sehr** (ძალიან). საგულისხმოა, რომ საერთო გერმანიკული სიტყვა ძველი მნიშვნელობით შენარჩუნებულია თანამედროვე ინგლისურში „**sore**“ (მტკივნეული) და „**sore**“ (ფრიად, ძალიან). ასეა სიტყვა „კეთება“ მაგალითად, ძვ-საქს. **makon** ძვ.-ზ.- გერმ. **mahhôn**, ახ.ზ.- გერმ. **machen**, ინგლ. **make**.

ნებისმიერი ენის ლექსიკა მუდმივად განიცდის სიტყვის გამოყენების გადაწევას და მასთან დაკავშირებული მნიშვნელობის ცვლილება ადრე თუ გვიან ლექსემის ჩანაცვლებას იწვევს.

ბგერითი და სემანტიკური მსგავსების შედეგად გამოწვეული ლექსემური ჩანაცვლების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ: ანგლო-საქსური **læren** „lehen“ (სწავლება), რომლის ხშირი გამოყენება მე-13 საუკუნიდან თანდათან უკენ იწვევს და ბოლოს საერთოდ ქრება ენიდან. ამის მნიშვნელოვანი საფუძველი შეიქმნა ძველი ინგლისური „**learnian**“ ახალი ინგლისურ **learn** (სწავლა)-სთან არევა, რომელმაც მე-13-საუკუნიდან აგრეთვე „**lehen**“ (სწავლება)-ის მნიშვნელობაც მიიღო. იგი დიალექტებში და ვულგარულ მეტყველებებში დღესაც გამოიყენება (მსგავსად გერმანულისა *ich lerne dir schwimmen*(მე გასწავლი ცურვას)). შემდეგ სალიტერატურო ინგლისურში კი მნიშვნელობა *lehen* (სწავლება) **teach**-ით შეიცვალა. აღნიშნული სიტყვა ისევ აგრძელებს მნიშვნელობის გადაწევის ტენდენციას.

გერმანელები თვლიან, რომ ინგლისური **learn** თანამედროვე გერმანულში „რადაცის გაგების“-ის კონოტაციით უფრო გამოიყენება, ვიდრე „სწავლისა“.

ზოგჯერ სიტყვის მნიშვნელობის ცვლასთან ერთად იცვლება მისი გრამატიკული სტრუქტურა, ამის მაჩვენებელია გერმანული ნაცვალსახელების ანალიზი. ახალ ზემოგერმანულში გვაქვს ნაცვალსახელის ორი სხვადასხვა სახე: უკუქცევითი ნაცვალსახელი და პირის ნაცვალსახელი. პირველს ვიყენებთ, როცა ნაცვალსახელი და ის სიტყვა, რომელსაც ნაცვალსახელი ეხება, ერთსა და იმავე წინადადებაში გვხვდება. მაგალითად, *Der Politiker hat wieder einmal nur sich/ihm geholfen*(პოლიტიკოსმა კიდევ ერთხელ მხოლოდ საკუთარ თავს უშველა). მეორეს, პირიქით, ვიყენებთ მაშინ, როცა ნაცვალსახელი და სიტყვა, რომელსაც ნაცვალსახელი ეხება, არ არიან ერთსა და იმავე წინადადებაში. *Der Politiker beteuert, dass das Geld nicht für sich/ihn bestimmt war*(პოლიტიკოსი ამტკიცებს, რომ თანხა მისთვის არ იყო განკუთვნილი). საშუალ გერმანულში გვქონდა სახელდობრ უკუქცევითი ნაცვალსახელიც მაგალითად, *so si sich*

erkennt beide (ამიტომ ორივე ცნობს ერთმანეთს). ეს უკუქცევითი ნაცვალსახელი sich შემდეგ მოგვევლინა თანამედროვე გერმანულში. საშუალო ზემოგერმანულში იგი მხოლოდ Akkusativ –ში გამოიყენებოდა (მაგალითები ადებულია გრემებიდან). Dativ- ის ჯერ კიდევ არ არსებობდა უკუქცევითი ნაცვალსახელი. საშუალო ზემოგერმანულის მკითხველს პირის ნაცვალსახელები (im/ihm, ir/ ihr) მაშინაც უნდა გამოეყენებინა როცა ნაცვალსახელი და სიტყვა, რომელსაც ის ეხებოდა, ერთსა და იმავე წინადადებაში გამოდიოდნენ, მაგალითად: 1. andern hat er geholfen und kann, im selber nicht helfen. (ის სხვებს ეხმარებოდა და საკუთარ თავს ვერ უშველის). 2, Daz si ir selber hat bereit kumet, not und arebeit (ამიტომ ჩვენ თვითონ მოვემზადეთ, გვჭირდებოდა და ვიმუშავეთ).

კონტექსტში დაემატა სიტყვა selber იმის მისანიშნებლად, რომ პირის ნაცვალსახელი და სიტყვა, რომელსაც ის ეხება, ერთსა და იმავე წინადადებაში გამოდიან, ასე წარმოიქმნა ინგლისურში ცნობილი უკუქცევითი ნაცვალსახელები: herself, himself, itself-გერმანულში კი პირიქით, ნაცვალსახელი sich მიცემით (Dativ) ბრუნვაშიც განვითარდა.

ცვლილებები შეიმჩნევა იდიომატიკის დონეზეც. იდიომა დაიმატებს სიტყვას, შეიცვლება სტრუქტურა და მთლიანობაში გამონათქვამი ლებულობს ახალ კონოტაციას, მაგალითად გერმანულში არსებობს იდიომატური ფრაზეოლოგიზმი auf den Hund kommen, რომელსაც ქართულში აქვს შესატყვისები, დაგლახავდა, დაბეჩავდა, გადაჰყავდა ხელს და ა.შ. ინტერნეტში ვპოულობთ სტატიას სათურით: kommt die deutsche Sprache auf den englischen Hund? რომელიც ეხება მსოფლიოში საზოგადოებრივი ყველა სფეროში ანგლოციზმების ჭარბი დოზით შემოჭრის ტენდენციას, რაც მსოფლიოში ამერიკის დომინანტური პოზიციითაა გამოწვეული.

თანამედროვე სოციოლოგიის საკითხები

ენა კოლექტივში დამკვიდრებული სავალდებულო კავშირების, წესების, ერთობლიობას წარმოადგენს, იგი სოციალური ფენომენია (გამყრელიძე, 2007: 27). ენის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი საზოგადოებაში მისი საკომუნიკაციო მომსახურების ფუნქციაში გამოიხატება. საზოგადოები კი არ არის **ჰომოგენური**, არამედ დაყოფილია **მრავალმხრივად**. საქმე ეხება **საცხოვრებელ** ადგილს, **სოციალურ** სტატუსს, საზოგადოების იმ გარკვეულ **ფენას**, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის, პიროვნების განათლებას და პროფესიას, სარწმუნოებას და სქესს. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ საზოგადოების ყველა წევრი ერთნაირად არ მეტყველებს და ერთნაირ სამეტყველო ნორმებს არ იყენებს საუბრისას. არც ერთი ადამიანი არ მეტყველებს ისე, როგორც მეორე და უფრო მეტიც, არც ერთი ჯგუფი ადამიანებისა არ საუბრობს ერთმანეთთან აბსოლუტური სიზუსტით, როგორც მეორე. საუბრისას ზოგიერთი იყენებს ვარიანტს, მითუმეტეს გერმანულ ენაში, რომელიც სხვადასხვა ვარიანტს მოიცავს. ვარიანტის, ანუ ენის სახეობის ქვეშ იგულისხმება უპირველეს ყოვლისა, ძირითადი ენის საერთო თვისებათა ერთობლიობა, რომელიც საზოგადოების გარკვეული ჯგუფის მიერ გამოიყენება, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით, შესაბამისად განასხვავებენ, რეგიონალურ ვარიანტებს, ანუ დიალექტებს (მას სხვაგვარად რეგიოლექტს უწოდებენ). გარკვეული ეთნიკური ჯგუფისათვის დამახასიათებელ ვარიანტს უწოდებენ ეთნოლექტს, ხოლო სოციალური ჯგუფის მიერ გამოყენებულ ენის ვარიანტს-სოციოლექტს. ენის ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე პროფესიული საქმიანობის ამსახველი ტერმინები, მაგალითად, მეცნიერების, ტექნიკის და ენის სალიტერატურო ვარიანტს, მასმედიას, სასამართლოს, პოლიტიკას და სხვ. იგი ასევე გავლენას ახდენს ლექსიკოლოგიის, სანტაქსისა და მორფოლოგიის სფეროზე, ეხება ბგერებს. ცვლილებაში ენაში აისახება აგრეთვე მისი განსხვავებული ვარიანტების დომინანტობით.

ენაში ცვლილები ფიქსირდება სხვადასხვა თაობის მიერ მისი გამოყენებისას, ერთ ენაზე მოსაუბრე სხვადასხვა თაობებში, მათ ყოველდღიურ სალაპარაკო ენაში, ახალგაზრდა თაობა გარკვეულწილად თითქოს იგნორირებას უკეთებს უფროსი თაობის ლექსიკას. ისინი იყენებენ ისეთ სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობა ხშირად მათთვის გაუგებარია. უფროს თაობას უმეტესად ესმით მათი (ახალგაზრდების), მაგრამ მსგავს სიტყვებსა და გამონათქვებს თვითონ არ იყენებენ საუბარში.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად სიტყვა „*Entschuldigung*“-ს აქტიურად იყენებს, როგორც უფროსები, ისე ახალგაზრდები, მაშინ როცა „*Verzeihung*“ ფიქსირდება როგორც პასიურად გამოყენებადი მოზოდიშების ფორმა. საგულისხმოა, რომ გარდამავალი, ცვალებადი სიტუაციები იძლევა. ენაში ცვლილებების მოხდენის შესაძლებლობას. დროთა განმავლობაში „*Verzeihung*“ კარგავს თავის აქტუალობას, მის ნაცვლად კი იყენებენ ანგლოციზმს- *sorry*, თუმცა ყოველთვის სიტუაციის შესაბამისად და შინაარსად მორგებულად როდი ხდება მისი გამოყენება. პირიქით, *sorry* ზოგჯერ მცდარი კონოტაციით იხმარება, რადგან იგი აღნიშნავს არა უშუალოდ

„*Entschuldigung*“, არამედ „*bedauere*“ (ვწუხვარ).

სიტყვა „*angemein*“ პასიურად გამოიყენება ორივე თაობაში „*höchlichst*“ კი საერთოდ გამქრალია სალაპარაკო ენიდან.

ახალგაზრდების ენა

ახალგაზრდების ენის აშკარად გამოკვეთილი სამეტყველო დამწერლობითი სახე აქვს, რომელიც ემსახურება არა მარტო ახალგაზრდების ენის გამიჯვნას უფროსი თაობისაგან, არამედ ერთი ახალგაზრდული ჯგუფის მეორესაგან სოციალურ გამიჯვნასაც და აქედან გამომდინარე საკუთარი, ჯგუფისათვის დამახასიათებელი იდენტურობის შექმნა-ჩამოყალიბება. ამიტომაც, რომ ახალგაზრდების ენაში ხდება სხვადასხვა სუბვარიანტების იდენტიფიკაცია იმის მიხედვით, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ის. ასეთი სუბვარიანტების შესახებ აღნიშნავს პეტერ შლობინსკი, როცა ის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების, ასაკის, პროფესიული დაჯგუფების და გარკვეული გატაცების მქონე ახალგაზრდების სამეტყველო ნორმებზე დაკვირვების ნიმუშებს გვთავაზობს, სადაც გამოკვეთილია მათ მიერ ხშირად გამოყენებადი სამეტყველო ნიუანსები. მაგალითად, ბერები: *dong, ratatazong, möh*; ანგლიციზმები: *love, magic stickers*. როცა ინგლისურს აქვს ნორმალური ნათქვამი: *to fall in love* (შეყვარება), გერმანულით გადაიტანეს ზოგიერთმა ახალგაზრდებმა ვარიანტი: *in Liebe fallen*, რაც არასწორია.

ინტენსიურ-ჰიპერბოლური გამონათქვამები: *echt voll fetter drauf*; (ნამდვილად სავსეა ცხიმით); ალიტერაციები: *flippen floppen flappen*; ჯგუფისთვის სპეციფიკური ლექსიკა: *stöppern*; კომუნიკაციური ნაწილაკები: *ey, ok* და სხვ. (Schlobinski, Kohl & Ludewigt, 1993: 43-45).

ახალგაზრდების ენის ვარიანტები ფიქსირდება ენის სისტემისა და ენის გამოყენების ყველა დონეზე: ლექსიკა, სიტყვათწარმოებაში, ფრაზეოლოგიაში, სინტაქსურ წყობასა თუ დისკურსში. ახალგაზრდულ სიტყვათა ველს ეკუთვნის ზმნები, რომლებიც ნიშნავს სემანტიკურად „გამოლაპარაკებას: (*ansprachen*)- *anmachen, angraben, anbaggern, androhen, anlavern, anknipten*; (მიმართა, ჩართვა, თხრა, მოხვდა, იმუქრება, ლაყბობა). ადვილად მისახვედრია, რომ აქაც გარკვეული სიტყვათწარმოების ხერხი *an+* ზმნა გამოიყენება.

აქტიურია სიტყვათწარმოების მოდელი-**er(ei)**: *Ablästerei*(ცილისწამება), *Abripperei* (გახეხვა), *Laberei* (ჭორიკანა), *Klugscheißerei* (გაიძვერა); *Prollerei* (თაღლითობა), ხოლო მყარ გამონათქვამებად ჩამოყალიბდნენ ზედსართავი სახელისა და არსებითი

სახელისაგან წარმოებული გარკვეული სახის შესატყვისები: fetter Sound (მსუქანი ხმა), cooler Schlitten (მაგარი ციგა), korrekter Preis (სწორი ფასი). arrogantes Arschloch (ამპარტავანი სულელი). (Ablästern (შვედ.), Abrippen (ნიდერ.))

ბევრი გამოთქმა, რომელიც სტანდარტულ ენაში არსებითი სახელის ფორმით გამოიყენება, ახალგაზრდების ენაში უფლექსიო ზედსართავებს წარმოადგენენ, მაგალითად: du hast völlig panne argumentiert (შენი არგუმენტი სრულიად უაზრო იყო) ან weil sie nicht scheiße abgehoben rüberkommen. (იმიტომ, რომ ისინი არ ხვდებიან ისე მოშორებულებს, როგორც სირცხვილს).

მიუხედავად მრავალმხრივი მცდელობისა, რთულია ახალგაზრდების ენის ზუსტი აღწერა და მისი სტანდარტული ენიდან ზუსტი გამიჯვნა. ამის სხვადასხვა მიზეზი არსებობს. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ახალგაზრდა არ საუბრობს ე.წ. ახალგაზრდების ენაზე და თუ საუბრობს, იგი მას ყველა კომუნიკაციურ სიტუაციაში არ იყენებს (მაგალითად მღვდელთან ან პოლიციელთან საუბრისას). მთავარი კი ის არის, ახალგაზრდების ენა ძალიან სწრაფად განიცდის ცვლილებებს, რის გამოც იგი წარმოადგენს ენის ცვალებადობის ზოგადი კვლევის საინტერესო ობიექტს.

ენის ცვლილებები, როგორც აღვნიშნეთ, სპონტანურად არ შემოდის. ეს არის ხანგრძლივი პროცესი. ენაში სიტყვის აღიარებას, დამკვიდრებას და გამოყენებას ათასობით წლები სჭირდება. და მაინც რატომ იცვლებიან ენები? რამ გამოიწვია იგი?

როდის მოხდა ენობრივი ცვლილებები და რა მიმართულებით წავიდა ის? უპირველეს ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ, რომ კაცობრიობის განვითარება, ჩამოყალიბება და მისი ადგილის დამკვიდრება დამოკიდებულია დროის ფაქტორზე, რომ ისინი დროსთან ერთად იცვლებიან, რომ უცვლელი არაფერი რჩება და მასთან ერთად ბუნებრივია ენაც.

ენობრივი ცვლილებების მიზეზებზე პირველად პასუხის ამერიკელი ლინგვისტი უილიამ ლაბოვი შეეცადა (Labov, 1976-1978: 277) მან პირველი ენობრივი ცვლილებები დაუკავშირა ენის ვარიაციას. იგი ამბობდა, რომ ენისათვის დამახასიათებელია ვარიაციის მომენტი, რადგანაც ერთ ენაზე მოლაპარაკე ადამიანების არტიკულაცია ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. ისინი ერთსა და იმავე სიტუაციაში ერთნაირად არ საუბრობენ. იყენებენ სხვადასხვა სიტყვებსა და გამონათქვამებს. ლაბოვიმ არტიკულაციის ვარიანტები დაუკავშირა საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენას, სადაც ეკონომიური მდგომარეობა, ასაკი და სქესი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. განსაზღვრული სოციალური ფენების იდენტიფიკაციით ვარიანტები ინარჩუნებენ ე.წ. “პრესტიჟს“, რომელიც არ განისაზღვრება საზოგადოების მხოლოდ მაღალი დონით და წლოვანებით. მოგვიანებით ლაბოვის თეორია განავრცო ენათმეცნიერმა კელერმა (Keller, 1990: 79) მისთვის, კელერისთვის ენა არ არის ბუნებრივი ფენომენი, რომელიც შეუცნობი ძალების ზეგავლენით იცვლება. მისთვის ენა არც სოციალური ინსტიტუტია, რომელსაც მოსაუბრე თვითნებურად ცვლის. „ენა იცვლება, ამბობს იგი, მოსაუბრის მიერ მისი არამიზანმიმართულად გამოყენებისას“.

ენის ცვლის პროცესს მართავს შესაბამის დონეზე მოლაპარაკე ადამიანი სხვებთან წარმატებული კომუნიკაციის დროს. ამისათვის, ამბობს კელერი, საჭიროა ერთმანეთთან მიმართებაში დამყარდეს ბალანსი. კერძოდ, მოსაუბრის გამოხატვის ფორმა მსმენილისთვის მაქსიმალურად გასაგები უნდა იყოს, რის გამოც მან უნდა გამოიყენოს სხვადასხვა ენობრივი ფორმები, რომელიც მკვეთრად არ უნდა ემიჯნებოდეს ენაში არსებულ დღევანდელ წესებს. მეორე მხრივ, იგი უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე ენობრივ მოთხოვნებს, იყოს ორიგანული, შეიცავდეს ენაში შემოსულ გარკვეულ სიახლეებს რათა ნათქვამი იქცეოდეს მსმენელის ყურადღებას. კელერის აზრით, ასეთი სიახლეები ენაში შესაძლოა ყოფილიყო ენის ცვლის მიზეზი.

ადამიანური ენა ყველა სხვა ნიშანთა სისტემებთან შედარებით არა მხოლოდ ქვანტიტატიურად ანუ რიცხვობრივად, არამედ კვალიტატიური ანუ ხარისხობრივი მიდგომით ენა, როგორც ვერბალურ ნიშანთა სისტემა და ამავედროულად ამ ნიშნების მოქმედების მექანიზმი უმნიშვნელოვანეს სისტემას წარმოადგენს ყველა სხვა სისტემას შორის.

დასკვნა. ამრიგად, ადამიანის ენა განვიხილეთ როგორც სოციალური ფენომენი. თაობიდან მომდევნო თაობამდე ენა განიცდის ცოტაოდენ, ზოგჯერ კი უფრო დიდი დოზით ცვლილებებს, რომელთაც დროთა განმავლობაში იმ დონემდე მიყვებით, რომ მშობლიური ენა უცხო ენად გვესახება. ეს ცვლილებები ექსტრალინგვისტური ფაქტორებით და გარკვეულწილად შიდალინგვისტური ფაქტორებით აიხსნება, რასაც ჩვენ მიერ წარმოდგენილი მაგალითები ცხადყოფს.

იმისათვის, რომ ენის ცვლის საკითხი დავადგინოთ, არაა აუცილებელი ენის განვითარების ადრეული ეტაპების ტესტები მოვიშველიოთ. ზოგჯერ უფროსი თაობის წარმომადგენლებთან საუბარი და ახალგაზრდების სამეტყველო ნორმებთან მათი შედარება საფუძველს გვაძლევს ოდნავი ცვლილებები დავადგინოთ.

კონკრეტული ენის ცვლა, გარკვეული ენობრივი ცვლილებები ისევ და ისევ დამოკიდებულია გარკვეულად ენის მატარებელზე, თუ რამდენად მკაფიოდ, ხატოვნად და გასაგებად გადმოსცემს იგი სათქმელს, იყენებს თუ არა ყოველდღიურ სალაპარაკო ენაში შემოსულ ახალ ნიუანსებს და ენობრივ ფორმებს, თუნდაც ანგლიციზმებს.

ენის მეშვეობით დოკუმენტირებული რესურსები საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ არა მარტო ენების სტრუქტურულ განვითარებას, არამედ ამ ენათა მატარებელი ხალხების ისტორიულ და კულტურულ ევოლუციას.

ენა არის წარსულისა და აწმყოს შემაკავშირებელი უმძლავრესი მამოძრავებელი ძალა. ის ეროვნული კულტურის შემადგენელი ნაწილი და მის აგებაში მონაწილე ფაქტორია. ამიტომ ენისა და კულტურის კავშირი გარდაუვალია. ამასთან ენა ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც შესაძლებელია მენტალურ სფეროში შედწევა.

აქედან გამომდინარე, კავშირი ენასა, კულტურასა და აზროვნებას შორის ურღვევია. რადგან ენა და კულტურა განსაზღვრავს და აყალიბებს ნაციონალურ მენტალიტეტს, ეროვნული თვითმყოფადობისა და ეროვნული ხასითვის ფორმირების საკითხსაც.

და ბოლოს, ენობრივი ცვლილებები არასდროს იქნება ერთფეროვანი და ერთმნიშვნელოვანი, როცა მთქმელის მეტყველება, არტიკულაცია იქცევა მსმენელის გარკვეულ ყურადღებას.

გამოყენებული ლიტერატურა

გამყრელიძე, თ., კიკნაძე, ზ., შადური, ი., & შენგელია ნ. (2003). *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*. თბილისი.

კუკავა, თ. (1988). *ბერძნული ფილოსოფიის ისტორია*. თბილისი: განათლება.

Humboldt, W. (1946). *Über das vergleichende Sprachstudium in Beziehung auf die verschiedenen Epochen der Sprachentwicklung*. Aufsatz. Gelesen am 29. Juni 1820 in der Berliner Akademie. Nachdruck: Leipzig.

Keller, R., & Kirschenbaum, I. (2003). *Bedeutungswandel. Eine Einführung*. Berlin. New-York: Walter de Gruyter.

Keller, R. (1990). *Sprachwandel: von der unsichtbaren Hand in der Sprache*. Tübingen: Francke (=UTB 1567).

- Keller, R. (1982). Zur Theorie des sprachlichen Wandels. In: *Zeitschrift für germanische Linguistik*. 19.1.27.
- Labov, W. (1976-1978). *Sprache im sozialem Kontext-Beschreibung und Erklärung – und sozialer Bedeutung von Sprachvariation I/II* (hrsg. Dittmar Norbert. Rieck Bezi-o). Kronberg (scriptor) Ksl./MET/GRU.).
- Meibauer, J. (2007). *Einführung in germanistische Linguistik*. J. B. Metzler. Stuttgart-Weimar.
- Schippan, T. (1992). *Lexikologie der deutschen Gegenwartssprache*. Max Niemeyer Verlag. Tübingen.
- Schlobinski, P., Kohl, G., Ludewigt, I. (1993). *Jugendsprache*. Westdeutsche Verlag. GmbH. Opladen.

REFERENCES

- gamqrelidze, t., k'ik'nadze, z., shaduri, i., & shengelia n. (2003). *teoriuli enatmetsnierebis k'ursi [A Course in theoretical linguistics]*. Tbilisi.
- k'uk'ava, t. (1988). *berdznuli pilosopiis ist'oria [History of Greek Philosophy]*. Tbilisi: Publishing House “Ganatleba”.
- Humboldt, W. (1946). *Über das vergleichende Sprachstudium in Beziehung auf die verschiedenen Epochen der Sprachentwicklung*. Aufsatz. Gelesen am 29. Juni 1820 in der Berliner Akademie. Nachdruck: Leipzig.
- Keller, R., & Kirschenbaum, I. (2003). *Bedeutungswandel. Eine Einführung*. Berlin. New-York: Walter de Gruyter.
- Keller, R. (1990). Sprachwandel: von der unsichtbaren Hand in der Sprache. Tübingen: Francke (=UTB 1567).
- Keller, R. (1982). Zur Theorie des sprachlichen Wandels. In: *Zeitschrift für germanische Linguistik*. 19.1.27.
- Labov, W. (1976-1978). *Sprache im sozialem Kontext-Beschreibung und Erklärung – und sozialer Bedeutung von Sprachvariation I/II* (hrsg. Dittmar Norbert. Rieck Bezi-o). Kronberg (scriptor) Ksl./MET/GRU.).
- Meibauer, J. (2007). *Einführung in germanistische Linguistik*. J. B. Metzler. Stuttgart-Weimar.
- Schippan, T. (1992). *Lexikologie der deutschen Gegenwartssprache*. Max Niemeyer Verlag. Tübingen.
- Schlobinski, P., Kohl, G., Ludewigt, I. (1993). *Jugendsprache*. Westdeutsche Verlag. GmbH. Opladen.